ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №2

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65

07.02.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-**ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- **ლუიზა ჯოგლიძე.**

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი -**მიხეილ სვანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი -**ვანდა გიორგაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- **ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი- **ირმა ცხვარაძე.**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: გელა ჩიკვაიძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 დეკემბრის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

მომხს: გიორგი ივანიაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს: *მიხეილ სვანაძე*

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბერის N29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს: *დავით გაბუნია*

5. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირტა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს: *დავით გაბუნია*

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხს: *ზვიად კაპანაძე*

7. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, სოლომონ მეორეს ქუჩაზე არსებული 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (სკვერი (ს/კ 31.01.29.376)) 18 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყოფის და აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხს: ზვიად კაპანაძე

8. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი (ს/კ 31.01.26.426) აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხს: ზვიად კაპანაძე

9. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (მიწის (უძრავი ქონების ს/კ 31.13.23.237)) მეორე სართულზე არსებული 14 კვმ ფართის აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხს: ზვიად კაპანაძე

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის იანვრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: გელა ჩიკვაიძე

11. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შპს „მიმდემ“-თან სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: ვანდა გიორგაძე

12. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შპს “Georgian Build “ -თან სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: ვანდა გიორგაძე

13. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს: ლუიზა ჯოგლიძე

14. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ;

მომხს: ვანდა გიორგაძე

15. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხს: ივანე მამფორია

16. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხს: მიხეილ სვანაძე

17. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხს: ირმა ცხვარაძე

18. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 07 თებერვალს რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *ალექსანდრე ლილუაშვილი*

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 7 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილება:

1. დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და ანაზღაურდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.“

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 დეკემბრის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსულია შენიშვნა, რომ გაუქმებული იქნას ეს დადგენილება და მიღებული იქნას მერის ინდივიდუალური აქტის სახით. შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 დეკემბრის N23 დადგენილება.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში არის შემდეგი ცვლილებები: „სამედიცინო დახმარების პროგრამაში“ და „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამაში“ ბენეფიციარებისთვის უქმდება ვანის მუნიციპალიტეტში ბოლო 90 დღის განმავლობაში ფაქტობრივად ცხოვრების ვალდებულება, ხოლო ვანის მუნიციპალიტეტში ბოლო 90 დღის განმავლობაში რეგისტრაციის ვადა იზრდება 180 დღემდე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბერის N29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში შედის შემდეგი ცვლილებები: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამასხურში შეიქმნა ორი განყოფილება:

1. ეკონომიური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება.
2. მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილება.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირტა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამასხურში ორი განყოფილების შექმნამ თავისთავად ცვლილება გამოიწვია N40 დადგენილებაში. საშტატო ნუსხაში დაემატა ორი განყოფილების უფროსის თანამდებობრივი სარგო.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულებაში ცვლილება გამოიწვია სამსახურში ორი განყოფილების შექმნამ:

1.ეკონომიური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება.

2.მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილება.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, სოლომონ მეორეს ქუჩაზე არსებული 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (სკვერი (ს/კ 31.01.29.376)) 18 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყოფის და აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე";

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია განცხადება ამ ნაკვეთის იჯარით აღების შესახებ, რომელზეც განთავსებული იქნება სწრაფი კვების ობიექტი, რაზეც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი (ს/კ 31.01.26.426) აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე";

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ნაკვეთი გაცემული იყო იჯარით და ვადა დასრულდა . ეხლა ითხოვენ ვადის გაგრძელებას 5 წლით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (მიწის (უძრავი ქონების ს/კ 31.13.23.237)) მეორე სართულზე არსებული 14 კვმ ფართის აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე";

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ნაკვეთი გაცემული იყო იჯარით და ვადა დასრულდა . ეხლა ითხოვენ ვადის გაგრძელებას 5 წლით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეცხრე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის იანვრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2023 წლის 1 თებერვლის მოხსენებითი ბარათის N65-65230324 საფუძველზე, იანვრის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეათე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა „ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შპს „მიმდემ“-თან სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ :

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ვანის მუნიციპალიტეტს 2022 წლის 29 დეკემბერს გამოეყო თანხა 3 695 099 ლარი. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2022 წლის 29 დეკემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები:

საპრასიის, გადიდის, ტობანიერის, დიხაშხოს, ქ. ვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს მიმდემი და 2023 წლის 06 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება 2 536 081 ლარზე. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 03 მაისი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის

მეთერთმეტე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შპს "Georgian Build " -თან სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უხუთის, გორას, ზეინდრის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს Georgian build ხელშეკრულების გაფორმების საბოლოო თარიღია 13 თებერვალი.
სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 159 018 ლარს.
ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის

მეთორმეტე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ აპარატის უფროსის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო გადაედოთ ეს საკითხი მომდევნო სხდომისთვის.
ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ;

მომხსენებლმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2022 წლის 14 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით და განისაზღვრა 540 150 ლარით. 2022 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 12460101 ლარი.

2022 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 56 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 13; შეწყდა 1; გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 42 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 10146580 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 121 ხელშეკრულება.

მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 89232,69 ლარი. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში 4 ხელშეკრულება თირებულებით 131066,75 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის წესით მასალების შესყიდვა 19182 ლარი ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით 78447 ლარი.

კონსოლიდიებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 13 ხელშეკრულება ღირებულებით 156887,83 ლარი

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 10 ხელშეკრულება ღირებულებით 29768,18 ლარი: 2022 წლის იანვრის თვეში, ვანის მუნიციპალიტეტში მზრუნველობამოკლებულ პირთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით სასადილოს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა -1852,50 ლარიერთი თვის მომსახურება. A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი 6935 ლარი; ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ზედა ეწერტობანიერში სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა 7850 ლარი; ვანის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში თოვლის საფარისგან საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოების შესყიდვის მიზნით მანქანა-მექანიზმების მომსახურება-4000 ლარი

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 16 ხელშეკრულება.

მათ შორის:

სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 341670 ლარი; ავტომანქანის საბურავების 4377,92 ლარი; ავტომანქანებისს ძრავის ზეთი და აკუმულატორი 498,70 ლარი; სამედიცინო მასალები (სითხეები და პირბადეები) 2721 ლარი. მობილური სატელეფონო კავსირის მომსახურების-25160 ლარი;

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ეს საკითხი მიღებული იქნა ინფორმაციის სახით .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური არის ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, მიღებული ბიუჯეტის შესრულებას, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საფინანსო საბიუჯეტო სამსახური შედგება ორი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან, ბიუჯეტის დაგეგმვის და საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებებისაგან. სტრუქტურა განსაზღვრულია 8 საშტატო და 1 შტატგარეშე ერთეულით.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების მიერ მომზადდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი. კანონმდებლობით განსაზღრულ ვადებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების და სარეზერვო ფონდის ხარჯვის წლიური ანგარიშები, ასევე 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების 3 კვარტალური მიმოხილვა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის 3 კვარტალური ანგარიში. 7-ჯერ იქნა მომზადებული 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განყოფილებამ შესასასრულებლად მიიღო 1350 დავალება, მომზადდა 110 საპასუხო წერილი, ინიცირებული იქნა 18 სამართლებრივი აქტი.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების მიერ 2022 წლის განმავლობაში მომზადდა მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებული ერთეულების 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით რეგისტრირებული იქნა 867 ერთეული ვალდებულების დოკუმენტი, რომელთა საფუძველზეც განხორციელებული იქნა 6610 ტრანზაქციის ოპერაცია. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში წარდგენილი იქნა 12 საგადასახადო დეკლარაცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს წარედგინა 4 კვარტალური ანგარიში. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განყოფილებამ შესასასრულებლად მიიღო 2595 დავალება, მომზადდა 167 საპასუხო წერილი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილ სახაზინო ოპერაციებისა, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ სახელმწიფო ხაზინის საფინანსო უწყების პორტალის მეშვეობით ხაზინის ცენტრალურ ოფისში გაიგზავნა ვანის მუნიციპალიტეტის ცხრა არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის 548 ვალდებულების დოკუმენტი და 10930 საგადახდო მოთხოვნა.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N24 დადგენილებით. შემოსულობები განისაზღვრა - 8750,0 ათასი ლარით, გადასახდელები - 9300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება განისაზღვრა 550,0 ათასი ლარის ოდენობით. 2022 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შვიდჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 18434,6 ათასი ლარის, გადასახდელები 21413,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ათასი ლარის მოცულობით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ეს საკითხი მიღებული იქნა ინფორმაციის სახით .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ ინფორმაციის სახით წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.“

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N 28 დადგენილებით 2022 წლისთვის დამტკიცდა 15 სოციალური პროგრამა. 2022 წლის 16 მარტის N 11, 16 ივნისის N 15 და 14 სექტემბრის N 19 დადგენილებებით პროგრამებში შევიდა რიგი

ცვლილებები. დამტკიცებული პროგრამებით 2021 წელთან შედარებით განხორციელდა გარკვეული სიახლეების დანერგვა, კერძოდ:

1. ამოქმედდა ახალი „მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებდა მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე, რომლის მიმართაც პირს დაუდგინდა სტატუსი, 100 (ასი) ლარის ოდენობით;

2. „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამით“ სარგებლობდნენ როგორც დიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები და არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით დაავადებული, 18 წლამდე ასაკის ბავშვები, ასევე აუტიზმით, I ტიპის (ინსულინდამოკიდებული) შაქრიანი დიაბეტით და ცერებლური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები. მათი ყოველთვიური დახმარება, აუტიზმით და შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ბავშვებისთვის შეადგენდა 150 (ასორმოცდაათ) ლარს, ხოლო ცერებლური დამბლით დაავადებული ბავშვებისთვის - 100 (ას) ლარს.

3. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამით“ სარგებლობდნენ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მათი ერთჯერადი დახმარების ოდენობა შეადგენდა 200 (ორას) ლარს;

4. „სტუდენტთა დახმარების პროგრამით“ სარგებლობდნენ როგორც 1-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრი სტუდენტები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები. მათი ერთჯერადი დახმარების ოდენობა შეადგენდა 500 (ხუთას) ლარს.

5. „ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამით“ სარგებლობის უფლება ქონდათ როგორც უსახლკაროს სტატუსის მქონე პირებს/ოჯახებს, ასევე ოჯახური ძალადობისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირებს.

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარე რამაზ არველაძემ აღნიშნა, რომ სულ რამდენ ნებეფიციარს გაეწია დახმარება 2022 წელში.

მომხსენებლმა აღნიშნა , რომ სულ 2022 წელს დახმარება გაეწია 1690 ბენეფიციარს, თანხით 814795.77 ლარი (წლიური ბიუჯეტის 99.98 %).

2022 წლის ბიუჯეტით სოციალური პროგრამებისთვის თავდაპირველად გამოყოფილი იყო 755000 ლარი, გაზრდის შედეგად კი განისაზღვრა 815000 ლარის ოდენობით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ეს საკითხი მიღებული იქნა ინფორმაციის სახით .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდეტმე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ირმა ცხვარაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა“

მომხსენებლმა განმარტა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით 9 იანვარს, ვანის მუნიციპალიტეტში, მთავარ ნაძვის ხესთან გრანდიოზული საახალწლო ღონისძიება გაიმართა. ქალაქის ცენტრში, საშობაო ქოხებში, ადგილობრივი მეწარმეების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ხელნაკეთი

ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო..ტერიტორიაზე ასევე განთავსდა ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. მთავარ ნაძვის ხესთან მოწყობილ საბავშვო გასართობ სივრცეებში თოვლის ბაბუამ საჩუქრები დაარიგა.

☐ თებერვლის თვეში ვანს სტუმრობდა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელ-ლი გიორგი დონაძე, მისი ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტებისა და ფოლკლორის ცენტრის დაფინანსებით გაიხსნა ქართული ტრადიციული გალობისა და ხალხური საკრავების ვანის სალოტბარო სკოლა, რომლის მიზანს ახალგაზრდებისათვის ხალხური შემოქმედების გაცნობა, შესწავლა, ტრადიციული გალობისა და ხალხური სიმღერის პროფესიად ქცევა წარმოადგენს.. ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება უფასოდ შეისწავლოს ქართული ტრადიციული გალობა და ხალხური საკრავები.

☐ 2 აპრილს ქართველი სიმბოლისტი პოეტის, ტიციან ტაბიძის დაბადებიდან 127 წლისთავი შესრულდა. ვანის მუნიციპალიტეტში ტრადიციული საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა. შუამთის საჯარო სკოლაში, რომელიც პოეტის სახელს ატარებს. მოსწავლეებმა მხატვრულ-ლიტერატურული პერფორმანსი წარმოადგინეს. კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები უსახსოვრა.

☐ აპრილის თვეში ტობანიერის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია ,,ფარნავაზიდან იაკობამდე" წარმოადგინეს. რომელიც დედაენის დღეს მიეძღვნა.

☐ 15 მაისს ვანის ცენტრალურ სტადიონზე ბავშვთა ათლეტიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაიმართა შეჯიბრებები ამანათრბენსა(ესტაფეტა) და ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში, რომელშიც ვანის საჯარო სკოლების უმცროსკლასელი მისწავლეებისაგან(2014-2015 წწ.ში დაბ.) შემდგარი გუნდები მონაწილეობდნენ.

☐ 17-18 მაისს, ვანის პირველი საჯარო სკოლის ორგანიზებითა და ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის. განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანადგომით ტრაგიკულად დაღუპული მე-11 კლასის მოსწავლე ანრი გიორგაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელობის ფრენბურთის მუნიციპალური ტურნირი გაიმართა , რომელშიც მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას.

☐ 31 მაისს ქ.ხონში ჩატარდა ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი ტური, რომელშიც ვანის ფოლკლორულმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალის მეორე ტური გაიმართება 8 ნოემბერს ქ.ქუთაისში, სადაც ვანის მუნიციპალიტეტიდან პირველ ტურში გამარჯვებული მონაწილეები წარდგებიან.

☐ 2 ივნისს ,,ვანელობის'' სახალხო დღესასწაულზე ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული საჯარო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულების დაჯილდოება გაიმართა, ვანის მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე გოგორიშვილმა 17 კურსდამთავრებულს ფასიანი საჩუქრები და დიპლომები გადასცა.

ამავე დღეს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, სამ ვანელ პედაგოგს, მადლობის სიგელები და საჩუქრები გადაეცათ.

* 5 ივლისს დასრულდა მინი-ფეხბურთის ტურნირი ვანის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის.მე-3 ადგილისთვის ერთმანეთს ზეინდრისა და ვანის ახალგაზრდული გუნდები დაუპირისპირდნენ.

 . მ/წლის 16 აგვისტოს, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია „"Helping Hand"-ის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ,სანიტარიისა და ჰიგიენის ძირითად საკითხებზე, შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა ინფორმირება თემასთან დაკავშირებით, რათა მათ შეძლონ თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულებსა თუ სკოლებში აღმოაჩინონ ამ კუთხით არსებული პრობლემები და მოახდინონ მათი გაუმჯობესების ადვოკატირება, ასევე უსაფრთხო ჰიგიენისა და სანიტარული ნორმების დაცვა.

 22 ოქტომბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ლირიული სიმღერების ფესტივალი „სულიკო 2022'' გაიმართა, ცხრაწყაროს რეაბილიტირებულ თეატრონზე, მაყურებლისა და ჟიურის წინაშე იმერეთის მუსიკალური ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები წარდგნენ.

 8 ნოემბერს ქ.ქუთაისში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მე-2 ტური გაიმართა, რომელშიც, მონაწილეობა მიიღო შუამთის ფოკლორულმა ანსამბლმა „შუამთამ'', სახალხო მთქმელებმა აკაკი თევზაძემ, ქეთევან ადეიშვილმა, ნატაშა მეფარიშვილმა.

 18 ნოემბერს, იმერეთის რეგიონში მცხოვრებ პატარებს სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახებიდან, სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ საჩუქარი გაუკეთა და ა(ა)იპ ქუთაისის კულტურის ცენტრში ნიღბების თეატრის სპექტაკლზე დაპატიჟა.

 21 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში შედგა წლის წარმატებული ადამიანების დაჯილდოება, ვანის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გოგორიშვილისა და კულტურის სამსახურის ინიციატივით ტრადიციად დამკვიდრა კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და სპორტის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების წარმოჩენა, რომლებიც, ერთგულად ემსახურებიან თავიანთ საქმეს და არაერთხელ უსახელებიათ ვანი თავისი წარმატებებით.

 23 დეკემბერს, ვანის კულტურის ცენტრში, ქუთაისის ნიღბების თეატრმა ვანის საჯარო და კერძო სკოლების უმცროსკლასელი მოსწავლეებისათვის წარმოადგინა საახალწლო სპექტაკლი,, ,ჯადოსნური ზღაპარი'', სპექტაკლის დასრულების შემდეგ, 18:00 სთ-ზე ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საზეიმოდ აინთო მთავარი ნაძვის ხე.

 30 დეკემბერს ჩატარდა გრანდიოზული საახალწლო კონცერტი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მთავარ ნაძვის ხესთან.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ეს საკითხი მიღებული იქნა ინფორმაციის სახით .

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2023 წლის 8 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 8 თებერვლის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგი. (დანართი N2)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე